შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

2023 წლის ანგარიში

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2023 წელს წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდი შეივსო როგორც ბეჭდური, ასევე, ციფრული რესურსებით. ფონდის უდიდესი ნაწილი წარმოადგენს სასწავლო სახელმძღვანელოს და შეესაბამება პროგრამებისა და სილაბუსებით გათვალისწინებულ ლიტერატურას.

1. Beykoz University, Istanbul, Turkey
2. University St Kliment Ohridski – Bitola
3. University Union ,,Nikola Tesla" – Belgrade, Serbia
4. ინდ. მეწარმე კენჭაძის სტომატოლოგიური კლინიკა
5. სს კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი
6. შპს აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი
7. შპს ჯეო ჰოსპიტალს
8. შპს ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი.

ცვლილება შევიდა ავტორიზაციის სამუშაო ჯგუფში

შეიქმნა სტრატეგიის შემუშავების სამუშაო ჯგუფი

შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი

განახლდა რამდენიმე საკვანძო ხასიათის დოკუმენტი

განახლდა დოკუმენტები 2023 წლის მანძილზე განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად

დაიგეგმა არსებული დოკუმენტაციის მონიტორინგი და ოპტიმიზაცია (ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების კვალდაკვალ)

გადაიხედა და შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამები

გადაიხედა სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა

გამოცხადდა შიდა საგრანტო კონკურსი

ჩატარდა ტრენინგები აკადემიური და მოწვეული პირებისთვის სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდებში

პარტნიორი უცხური უნივერსიტეტის პროფესორების მიერ სდასუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგი სამეცნიერო ნაშრომის შემუშავების, საპროექტო წინადადებების მომზადების შესახებ

ჩატარდა მრგვალი მაგიდა, სდასუ-ს ახალი სტრატეგიის შემუშავების მიზნით, რომელშიც მონაწილეობდნენ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო სტრუქტურის წარმომადგენლები, დამსაქმებლები და პოტენციური დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, სკოლების დირექტორები და მენტორები, სდასუ-ს პროფესორ-მასწავლებლები, როგორც საქართველოს, ისე უცხოური პარტნიორი უნივერსიტეტებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა პირველი, საერთაშორისო, ინტერდისციპლინარული, სამეცნიერო კონფერენცია „მდგრადი განვითარების გამოწვევები“ . კონფერენციის მონაწილეები ჰიბრიდულ რეჟიმში, სხვადასხვა ქვეყნიდან, საქართველოს უნივერსიტეტებიდან, სხვა ორგანიზაციებიდან იყვნენ ჩართულები. სდასუ-ს დავით აღმაშენებლის სახელობის დარბაზში კი შეკრებილი იყვნენ სხვადასხვა სფეროს, დარგის წარმომადგენლები, რომელთაც წარმოადგინეს საინტერესო საკონფერენციო, სამეცნიერო ნაშრომები. ნაშრომები დაიბეჭდა სდასუ-ს სამეცნიერო ნაშრომების კრებულში. პუბლიკაციები დაფინანსდა სდასუ-ს მიერ.

დაიგეგმა 1 წლის მანძილზე განსახორციელებელი მნიშვნელოვანი ღონისძიებები

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მონიტორინგის და სტრატეგიის შემმუშავებელ ჯგუფთან ერთად, სწავლობს არსებული სტრატეგიული გეგმის შესაბამისად გაწერილი სამოქმედო გეგმების შესრულების ხარისხს, აგროვებს მონაცემებს თითოეული სტრუქტურული ერთეულიდან, რის საფუძველზეც, გაანალიზდება მიმდინარე მდგომარეობა, ჩატარდება SWOT ანალიზი, დამატებით განხორციელდება ხარისხის შეფასების მექანიზმის „ექვსი სიგმას“ მიდგომით შეფასება, საბოლოოდ კი, საუნივერსიტეტო საზოგადოება ჩამოყალიბდება სდასუ-ს შემდგომი განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებზე და შემუშავდება ახალი სტრატეგიული გეგმა.

17 ივლისს სამართლის ფაკულტეტის ორგანიზებით ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლისა და არალეგალური მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები

6 ოქტომბერს სდასუ-ს ტურიზმის პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესორი თამარ ქობლიანიძისა და ასოცირებული პროფესორის, მაია მელაძის ხელმძღვანელობით ტურიზმის პროგრამის მეორე და მესამე კურსის სტუდენტებისთვის მოეწყო გასვლითი, პრაქტიკული მეცადინეობა თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტსა და სასტუმრო "სოლე" ში.

16 ნოემბერს სამართლის ფაკულტეტის დეკანმა საინფორმაციო შეხვედრა გამართა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოწვევით სტუმრად მყოფ ამერიკის შეერთებული შტატების მოსამართლეებთან ქალბატონ ქეროლ კეილთან და ელიზაბეთ ესპინოზასთან. შეხვედრისას მხარეებმა ისაუბრეს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებულ კანონმდებლობზე, მათი იმპლემენტაციისა და სრულყოფის გზებზე. შეხვედრისას მხარეებმა შემდგომი თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს.

25 ნოემბერს ჩატარდა პირველი, ინტერდისციპლინური საერთაშორისო კონფერენცია „მდგრადი განვითარების გამოწვევები“, რომელშიც მონაწილეობდნენ სამეცნიერო საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

26 ნოემბერს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის თვითმმართველობის ინიციატივით შეიქმნა ,,ჭადრაკის“ კლუბი.

27 ნოემბერს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის თვითმმართველობის ინიციატივით შეიქმნა ,,ქართული ცეკვის“ კლუბი.

29 ნოემბერს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის თვითმმართველობის ინიციატივით შეიქმნა მუსიკის კლუბი / ხალხური სიმღერების კლუბი.
4 დეკემბერს ჩატარდა საჯარო ლექცია სახელწოდებით - „სამედიცინო ტურიზმის განვითარება ხელოვნური ინტელექტისა და რობოტიკის გამოყენებით“.

23 დეკემბერს, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ გაიმართა მრგვალი მაგიდა სახელწოდებით - „სდასუს სტრატეგიული განვითარება 2024-2030“

8 დეკემბერს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები სპეციალური საგამოძიებო სამსახურს ესტუმრნენ და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართეს.

26 დეკემბერს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტს ესტუმრა და სტუდენტებთან შეხვედრა გამართა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ბატონმა ნიკო თათულაშვილმა.

26 დეკემბერს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ჩატარდა საახალწლო ღონისძიება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი, სამაგისტრო, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შიდა საუნივერსიტეტო მონიტორინგი, რაც ითვალისწინებდა პროგრამებისა და სასწავლო კურსების შეფასებას, ტექნიკურ ექსპერტიზასა და ხარვეზების დადგენის შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავებას.